



2026 წლის იანვრის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026

თებერვალი

2026 წლის იანვრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

7.2%



დეკემბერი*


რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის
თორმეტი თვის საშუალო
მაჩვენებელი

7.5%

2026 წლის იანვარში სამომხმარებლო
ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.8% შეადგინა,
ხოლო საბაზო ინფლაცია 2.1%-ით
განისაზღვრა.



იანვარ - დეკემბერში*
საქონლის ექსპორტი
11.2%-ით, ხოლო იმპორტი
9.7%-ით გაიზარდა.



დეკემბერში* ფულადმა გზავნილებმა
337.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - 45.2%;
აშშ - 18.9%;
რუსეთი - 12.9%;
სხვა ქვეყნები - 23.1%.





დეკემბერი*, წინა თვესთან
შედარებით, დოლარიზაციის
მაჩვენებელი, დეპოზიტებზე
შემცირდა, ხოლო სესხებზე
გაიზარდა.



იანვარში, წინა თვესთან შედარებით,
ლარი აშშ დოლართან 0.1%-ით
გამყარდა, ევროსთან მიმართებით
კი 0.02%-ით გაუფასურდა.



1. რეალური და ფისკალური სექტორი



2025 წლის დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ 7.2% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის დეკემბერში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.2%, ხოლო იანვარ-დეკემბრის საშუალო მაჩვენებელმა 7.5% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: დამამუშავებელი მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება, სასტუმროები და რესტორნები.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის დეკემბერში* 18,337.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11.0%-ით აღემატება.

2026 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.8% შეადგინა.

იანვარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.1%-ით განისაზღვრა.

2025 წლის დეკემბერში* მშპ-ის წლიურმა საპროცენტო დეფლატორმა 5.1% შეადგინა.






2025 წლის დეკემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 10.7%-ით, ხოლო ხარჯები 41.2%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო 864.2 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 1,882.3 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დეკემბერში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,501.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5.6%-ით აჭარბებს. ✕ერძოდ, გადასახადის სახეების მიხედვით, შემოსავლების სტრუქტურა შემდეგი სახით დაკორექტირდა: დღგ (24.5%-ით), ქონების გადასახადი (17.5%-ით), საშემოსავლო გადასახადი (17.1%-ით), აქციზი (15.2%-ით) და იმპორტის გადასახადი (9.1%-ით). მოგების გადასახადი შემცირდა 3.7%-ით. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 41.9%, ხოლო არაპირდაპირმა 58.1% შეადგინა.


დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების 2.7%-იანი კლება (30.6 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.




2025 წლის დეკემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

დეკემბერში*, წინა წლის დეკემბერთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 13.4%-ით მოიმატა და 68,314.8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 14.7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 11.5%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.6%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 84.9% ფიზიკურ პირებზეა, 15.1% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.4% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 61.6% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.3% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.9% - ვაჭრობის, 16.6% - მრეწველობის, 15.1% - უძრავი ქონებით ოპერაციებში, 5.7% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2025 წლის იანვარ-დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2025 წლის იანვარ-დეკემბერში* ექსპორტმა 11.2%-ით, ხოლო იმპორტმა 9.7%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10.1%-ით გაიზარდა და 25,820.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: ტაჯიკეთი (431.8%), ბულგარეთი (90.5%), უზბეკეთი (49.8%), ყირგიზეთი (16.4%), რუსეთი (10.3%), ჩინეთი (8.1%), ყაზახეთი (5.8%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (27.4%), სომხეთში (10.5%), ამერბაიჯანსა (3.8%) და სხვა ქვეყნებში.


იანვარ-დეკემბერში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში: თხილი და სხვა კაკალი (61.5%), ძვირფასი ლითონების მადნები (59.5%), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (56.7%), უალკოჰოლო სასმელები (20.6%), მსუბუქი ავტომობილები (16.0%), ამოტოვანი სასუქები (11.1%), მინერალური და მტკნარი წყალი (5.7%). შემცირდა ფეროშენადნობების (29.9%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (2.9%) და სპირტიანი სასმელების (2.1%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - დეკემბერი)




2025 წლის იანვარ-დეკემბერში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 72.9% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 19.4% - საზღვაო, 4.2% - საჰაერო, 3.2% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.3% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი - დეკემბერი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.7% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 38.6% - საზღვაო, 10.2% - საჰაერო, 5.1% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 2.5% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი - დეკემბერი)




იანვარ-დეკემბერში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 3,367.4 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12.5%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 20.8%), ჩინეთი (9.0%), თურქეთი (8.9%), ბულგარეთი (7.0%), სომხეთი (5.9%), ამერბაიჯანი (5.3%), აშშ (3.2%), შვეიცარია (3.2%), იტალია (3.1%) და

ფულადი გზავნილები (%)
ჩარიცხვები, დეკემბერი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



2025 წლის დეკემბერში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 18.4%-ით გაიზარდა და 337.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (152.7 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.2%) და აშშ (63.7 მლნ აშშ დოლარი, 18.9%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 39.1%-ით გაიზარდა და 43.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 12.9%).


საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (58.7 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.4%), გერმანიიდან (30.0 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (27.5 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (27.0 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (11.7 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (9.0 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (7.6 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

2026 წლის იანვარში, საერთაშორისო რეზერვებმა 6,300 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

იანვარში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 6,300 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 42.0%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 2.3%-ით გაიზარდა.

2026 წლის იანვარში, საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულე.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 9.9%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 12.5%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 7.5%-ით გაიზარდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 25.5%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 16.5%-ს გაუტოლდა. 2026 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.8% შეადგინა.

2025 წლის დეკემბერში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 68,458.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.7%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 51.4% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 48.6%.

დეკემბრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 60.8% იურიდიულ პირებს, ხოლო 39.2% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.


ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.4% ფიზიკურ პირებს, ხოლო 34.6% იურიდიულ პირებს ეკუთვნის.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)




2026 წლის იანვარში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 11,218.1 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 71.6% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 10.1% - ეროვნული ბანკის, ხოლო 18.3% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 14.4%, არარეზიდენტი - 3.9%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (იანვარი)




დეპოზიტები დეკემბერი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 50.6% ვადიანი დეპოზიტებია, 27.6% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 21.8% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (42.4%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (33.6%) და მიმდინარე ანგარიშებს (24.0%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის დეკემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

დეკემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.91 კპ-ით შემცირდა და 44.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.56 კპ-ით გაიზარდა და 42.4% შეადგინა.


დეკემბრის* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 10.4%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.3%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის დეკემბერში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 14,661.0 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21.6%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.6%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.4%.

სამომხმარებლო სესხები (დეკემბერი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 45,926.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.8%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.5%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.5%.


უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (დეკემბერი)




დეკემბრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 64.4% გაცემულია თბილისში, 7.6% - იმერეთში, 7.3% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.7% - კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.1% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის დეკემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.67 პპ-ით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.40 პპ-ით შემცირდა. დეკემბერში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.5%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), დეკემბრის* მდგომარეობით, 5.4% შეადგინა, 0.3 პპ-ით ნაკლები წინა წლის დეკემბერთან შედარებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



2026 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა. იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.1%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 0.02%-ით გაუფასურდა და თურქულ ლირასთან 1.3%-ით გამყარდა. ამავ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, იანვარში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.5%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 6.8%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 28.3%-ით გამყარდა. იანვრის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.70, ევროს მიმართ 3.16, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.


4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის III* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის III* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,271.6 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.4%-ით (214.9 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.7%-ით (59.6 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის III* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,212.9 ლარის ოდენობით, 5.9% წლიური ზრდა), მშენებლობის (3,682.9 ლარი, ზრდა 15.2%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,526.0 ლარის ოდენობით, ზრდა 10.7%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (3,107.9 ლარი, ზრდა 1.5%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2025 წლის დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე შემცირდა, ხოლო ჯანდაცვაზე გაიზარდა.


დეკემბერში*, განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 349.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 8.3%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე განუღმა დანახარჯები კი 358.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 63.5%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა


2026 წლის იანვარში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 30.7%, ხოლო სომხეთში 3.8% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის დეკემბერის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.2%-ით, ხოლო რუსეთში 5.6%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია იანვარი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება იანვარი



2026 წლის იანვარი თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის და აზერბაიჯანული მანათის გარდა, გამყარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იანვარში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 17.8%-ით გაუფასურდა, რუსული რუბლი 31.0%-ით, ქართული ლარი 5.5%-ით, სომხური დრამი 4.5%-ით გამყარდა, აზერბაიჯანული მანათი კი 0.0004%-ით გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25	ნოვ 25	დეკ 25	იან 26
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	11.1	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	6.0	7.2	7.2	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	14.7	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	7.0	10.1	11.0	
ინფლაცია (%)	2.0	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2	4.8	4.0	4.8
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.49	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	0.47	0.47	0.47	0.46	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.44	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.84	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72	2.71	2.70	2.70
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	242,440	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	318,709	298,395	337,947	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	404	432	562	617	580	640	610	603	703	684	782	673	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,704	1,233	1,520	1,525	1,486	1,510	1,608	1,496	1,563	1,553	1,483	1,848	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-1,300.4	-802.0	-957.7	-908.1	-906.0	-870.3	-997.4	-893.2	-860.0	-868.1	-700.6	-1,174.8	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,436	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428	5,603	5,816	6,159	6,300
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,213	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	2,117.9	2,499.4	2,296.7	2,264.4	2,874.5	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,932	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	1,724.8	1,845.3	2,033.9	1,687.5	3,738.7	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	392	380	406	397	332	454	371	400.2	578.5	320.8	344.4	1,116.7	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		იანვ 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ.25	ნოვ.25	დეკ 25	იან.26
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		იანვ 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ.25	ნოვ.25	დეკ 25	იან.26
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

